



დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტი (DRI)

DRI საჯარო პოლიტიკის ანალიტიკური ინსტიტუტია, რომლის მიზანია კანონის უზენაესობისა და ადამიანის უფლებების დაცვა; გამჭვირვალე და ანგარიშვალდებული სახელმწიფო მმართველობის დამკვიდრება; ტოლერანტული და თანასწორი საზოგადოების განვითარების ხელშეწყობა; კონფლიქტურ რეგიონებში ადამიანის უფლებების დაცვის, მხარეებს შორის ნდობის აღდგენის და ინტეგრაციის პოლიტიკის პოპულარიზაცია და სახელმწიფოს ევროპული ინტეგრაციის ხელშეწყობა.

ივნისის აქტივობები

| | |
|---|---|
| DRI: უსაფრთხოების სექტორზე საპარლამენტო კონტროლი ხარვეზიანია..... | 2 |
| ულტრამემარჯვენე ექსტრემიზმი | |
| DRI: ხელისუფლების უმოქმედობა „ალტ-ინფოს“ ძალადობრივ რიტორიკას ამლიერებს..... | 3 |
| DRI: „ქართული ოცნების“ ლიდერების განცხადებები ძალადობის პარტიული პოლიტიკური მიზნებისთვის გამოყენების სახიფათო პრეცედენტს ქმნის..... | 3 |
| ადამიანის უფლებები | |
| DRI: ფარული საგამომიებო მოქმედების შესახებ ცვლილებები საქართველოს ევროპული ინტეგრაციის პერსპექტივას საფრთხეს უქმნის..... | 4 |
| ეროვნული უსაფრთხოება | |
| უსაფრთხოების სექტორზე საპარლამენტო კონტროლის მნიშვნელობა და არსებული გამოწვევები..... | 4 |
| DRI-ის კვალიციური საქმიანობა..... | 5 |

DRI: უსაფრთხოების სექტორზე საპარლამენტო კონტროლი ხარვეზიანია



22 ივნისს, დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტმა სამუშაო შეხვედრა გამართა და უსაფრთხოების სექტორზე საპარლამენტო კონტროლის მნიშვნელობისა და არსებული გამოწვევების შესახებ შუალედური [ანგარიში](#) წარადგინა.

წარმომადგენლობით დემოკრატიაში საპარლამენტო ზედამხედველობა ძალაუფლების კონტროლის და დაბალანსების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტია. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის ახალი რედაქციით, ერთი შეხედვით, გაიზარდა უსაფრთხოების სექტორზე კონტროლის მექანიზმები, მაინც რჩება მთელი რიგი საკანონმდებლო ხარვეზები, რაც უსაფრთხოების სექტორს ზედამხედველობის მიღმა ტოვებს. აღნიშნულს კიდევ უფრო ართულებს უსაფრთხოების სექტორის საქმიანობისთვის დამახასიათებელი საიდუმლოების მაღალი ხარისხი.

DRI: ხელისუფლების უმოქმედობა „ალტ-ინფოს“ ძალადობრივ რიტორიკას აძლიერებს

26 მაისს, ღიად პრორუსული პოლიტიკური დაჯგუფების „კონსერვატიული მოძრაობის/ალტ-ინფოს“ ერთ-ერთმა ლიდერმა ზურაბ მახარაძემ „ალტ-ინფოს“ ეთერში სახელმწიფო სტრუქტურებს მოუწოდა, სახელმწიფო უსაფრთხოების ინტერესებიდან გამომდინარე, „თბილისი პრაიდისთვის“ არ მიეცათ ღონისძიებების ჩატარების შესაძლებლობა. მისი განცხადებით, „პრაიდის“ ჩატარების შემთხვევაში, „ალტ-ინფო“ დააორგანიზებდა ხალხის გარეთ გამოსვლას, ექსცესები კი უკონტროლო სახეს მიიღებდა.

დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტის განცხადებით, ლგბტქ+ პირების შეკრებისა და მანიფესტაციისა და თანასწორობის უფლების რეალიზაციის სახელმწიფო საფრთხედ აღქმა, ძირს უთხრის საქართველოს კონსტიტუციით აღიარებული ადამიანის ფუნდამენტური უფლებების დაცვას. მიუხედავად ამისა, 2021 წლის 5 ივლისს, სახელმწიფო სტრუქტურებმა პრორუსულ, ძალადობრივ დაჯგუფებას და მის თანამზრახველებს ძალადობრივი პროცესის მართვის შესაძლებლობა მისცეს და უარი თქვეს მოქალაქეების უფლებების დაცვაზე.

DRI-იმ კიდევ ერთხელ მიმართა შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს პროკურატურას და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს:

- დაუყოვნებლივ დაიწყონ გამოძიება ზურაბ მახარაძის მუქარის შემცველ განცხადებაზე, რომელიც დანაშაულის ნიშნების შემცველია
- გაატარონ ეფექტიანი პრევენციული ღონისძიებები ძალადობის თავიდან ასაცილებლად
- უზრუნველყონ 5 ივლისის ძალადობრივი მოვლენების ყველა ხელმძღვანელი პირების დაკავება.

დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტის განცხადების საფუძველზე, შსს-მ „ალტ-ინფოს“ ლიდერები გამოკითხვაზე დაიბარა. ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, შსს-მ გამოძიება ძალადობრივი ქმედებისაკენ საჯაროდ მოწოდების მუხლით (239¹) დაიწყო.

DRI: „ქართული ოცნების“ ლიდერების განცხადებები ძალადობის პარტიული პოლიტიკური მიზნებისთვის გამოყენების სახიფათო პრეცედენტს ქმნის

2022 წლის 6 ივნისს, „საქართველოს რესპუბლიკური პარტიის“ ერთ-ერთ ლიდერს დავით ბერძენიშვილს და საქართველოს პარლამენტის წევრს ხათუნა სამნიძეს რუსთაველის გამზირზე თავს ორი პირი დაესხა. შსს-მ გამოძიება დავით ბერძენიშვილის ეპიზოდში ძალადობის (სსკ-ის 126-ე), ხოლო ხათუნა სამნიძის ნაწილში მუქარის (სსკ-ის 151-ე) მუხლებით დაიწყო. იმავე დღეს პოლიტიკოსები დაზარალებულებად ცნეს.

ძალადობის დაუშვებლობაზე ხაზგასმის ნაცვლად, 2022 წლის 7 ივნისს საქართველოს პარლამენტის პლენარულ სხდომაზე საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილემ არჩილ თალაკვაძემ და პარტია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარემ ირაკლი კობახიძემ პოლიტიკოსებზე ძალადობის წამახალისებელი განცხადებები გააკეთეს. დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტის მოსაზრებით, პოლიტიკოსების რიტორიკამ, რომელიც ძალადობის გაკიცხვის ნაცვლად, ოპოზიციონერებისგან მტრის ხატის შექმნას ემსახურებოდა, განსხვავებული აზრის მქონე ადამიანების ფიზიკური დევნის საფრთხე შექმნა.

დაზარალებულების სამართლებრივ ინტერესებს დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტი იცავს.

DRI: ფარული საგამოძიებო მოქმედების შესახებ ცვლილებები საქართველოს ევროპული ინტეგრაციის პერსპექტივას საფრთხეს უქმნის

კანონპროექტის მესამე მოსმენით მიღებამდე, დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტი კიდევ ერთხელ გამოეხმაურა მმართველი პარტიის წევრების მიერ ინიცირებულ საქართველოს კანონის პროექტს „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“, რომელიც ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების ვადების დაუსაბუთებლად გაზრდას ითვალისწინებდა. სამწუხაროდ, საქართველოს პარლამენტმა მხედველობაში არ მიიღო სამოქალაქო საზოგადოების კრიტიკა და არაპროპორციულად, დაუსაბუთებლად გააფართოვა როგორც ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების მაქსიმალური ვადა, ასევე, იმ დანაშაულების ჩამონათვალი, რომლებზეც შესაძლებელია ფარული მოქმედებების ჩატარება.

დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტმა მოუწოდა საქართველოს პარლამენტს, უმნიშვნელოვანესი საგარეო პოლიტიკური პროცესის ფონზე, ხელი არ შეეწყოს დამატებითი არგუმენტების გაჩენისთვის საქართველოში დემოკრატიული ინსტიტუტების ფუნქციონირების კითხვის ნიშნის ქვეშ დასაყენებლად.

დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტი მიესალმება საქართველოს პრეზიდენტის გადაწყვეტილებას კანონპროექტისთვის ვეტოს დადების შესახებ.

უსაფრთხოების სექტორზე საპარლამენტო კონტროლის მნიშვნელობა და არსებული გამოწვევები

ანგარიშში გაანალიზებულია საჯაროდ ხელმისაწვდომი ინფორმაცია, საკანონმდებლო ჩარჩო და პარლამენტის წევრებთან პირისპირ ჩატარებული ინტერვიუები. აქვე წარმოდგენილია უსაფრთხოების სექტორის საპარლამენტო ზედამხედველობის მოდელების მიმოხილვა.

ანგარიშში განხილულია ნდობის ჯგუფის დაკომპლექტებასთან დაკავშირებული პრობლემები და საქმიანობის გაუმჯობესება. ასევე მიმოხილულია სუს-ის 2021 წლის საქმიანობის ანგარიში, რომელიც უკიდურესად ზოგადი და შაბლონურია; პარლამენტის წევრებს ვერ შეუქმნის სუს-ის საქმიანობასთან დაკავშირებით რეალურ წარმოდგენას და ვერ მიაწოდებს იმ მოცულობის ინფორმაციას, რაც ამ უკანასკნელს საპარლამენტო კონტროლისთვის სჭირდება.

დადებითი ტენდენციის სახით ანგარიშში აღნიშნულია, რომ დეპუტატების მიერ წერილობითი კითხვის გამოყენების დინამიკა განვლილ წლებთან შედარებით გაზრდილია. ამასთან, განსხვავებით წინა წლებისგან, 2021 წლიდან შეიმჩნევა საპარლამენტო უმრავლესობის წევრების გააქტიურება. თუმცა, თვალსაჩინოა, რომ კითხვის ადრესატები ხშირ შემთხვევაში იყენებენ განსხვავებულ მიდგომას იმის მიხედვით, თუ ვინაა კითხვის ავტორი: პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებული უწყებების მხრიდან უპასუხოდ დატოვებულია ან არასრულყოფილად და ბუნდოვნად აქვს გაცემული პასუხები ძირითადად საპარლამენტო ოპოზიციის მიერ დასმულ შეკითხვებს.

DRI-ის კოალიციური საქმიანობა

დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტი აქტიურად თანამშრომლობს სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან. ივნისში DRI-ის ინიციატივით და აქტიური მონაწილეობით გავრცელდა რამდენიმე კოალიციური განცხადება.

პირველი [განცხადება](#) - „ევროინტეგრაციის პროცესთან დაკავშირებით ქართული ოცნების ხელისუფლების დამოკიდებულება არაკონსტიტუციურია“ - დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტის ინიციატივით მომზადდა. საზოგადოებრივი ორგანიზაციების ერთობლივ მიმართვაში ხაზგასმულია, რომ მმართველი პარტიის წარმომადგენლების და პრემიერ-მინისტრის განცხადება ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნის სტატუსის სიმბოლური მნიშვნელობის შესახებ, უპასუხისმგებლო და სახიფათო იყო. მსგავსი განცხადებები არამხოლოდ უკიდურესად აზარალებს ქვეყნის ევროინტეგრაციის პროცესს და ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას, არამედ სერიოზული საფრთხის ქვეშ აყენებს საქართველოს მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობის მიერ გაცხადებულ ევროპულ არჩევანს.

ერთობლივი განცხადება მომზადდა [5-6 ივლისის მოვლენებში სუს-ის შესაძლო ჩართულობაზეც](#). 12 ივნისს ტელეკომპანია „პირველი“-ს ეთერში გასული სიუჟეტი 5 ივლისის ძალადობრივი მოვლენების დაგეგმვასა და აღსრულებაში სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლების სავარაუდო მონაწილეობას აღწერდა. ამ დრომდე 2021 წლის 5 ივლისს მომხდარი მასობრივი ძალადობა საპოლიციო უმოქმედობისა და ჟურნალისტებისა და აქტივისტების დასაცავად სახელმწიფოს დემონსტრაციული პასიურობის განსაკუთრებულ შემთხვევად ფასდებოდა, თუმცა 12 ივნისს გასაჯაროებულმა ინფორმაციამ შექმნა კიდევ უფრო სახიფათო და შემამფოთებელი დაშვება, რომ მასობრივი ძალადობის დაგეგმვისა და პროცესების მართვის უკან შესაძლოა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური მდგარიყო. 5-6 ივლისის მოვლენებთან დაკავშირებული პროცესების ჯაჭვმა და სუს-ის ინსტიტუციური მუშაობის ჩავარდნებმა,

მთლიანობაში უსაფრთხოების სისტემის მედეგობა დააყენა ეჭვქვეშ და ეროვნული უსაფრთხოებისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ინსტიტუციური რგოლის პოლიტიკური ინსტრუმენტალიზების უმძიმესი გამოცდილება შექმნა.

დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტი შეუერთდა ორი განცხადებას სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარედ მიხეილ ჩინჩალაძის ხელახალი ვადით დანიშვნას შესახებ. სასამართლო სისტემის მიმართ ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე მზარდი კრიტიკის ფონზე იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ, საზოგადოებისგან მალულად სცადა შეენარჩუნებინა კლანური მმართველობა სასამართლო სისტემაში. იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ ერთხმად მიღებული გადაწყვეტილებით თბილისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის უფლებამოსილება დროებით დააკისრა კლანის არაფორმალურ ლიდერს, მიხეილ ჩინჩალაძეს, ხოლო მოგვიანებით, მეორე ვადით დანიშნა.

კონტაქტი

მისამართი
თბილისი, 0160 პეკინის ქ. 34 / ყაზბეგის გამზ. 2 ა, ბიზნეს-ცენტრი საბურთალო,
მესამე სართული

ტელეფონი
(+995) 32 237 52 28

Web
www.democracyresearch.org
ელ.ფოსტა
info@democracyresearch.org